

საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის  
2000 წლის 8 მაისის N 275 დადგენილებით

ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის  
კონფერენციის სტატუტი

(ძალაშია 1955 წლის 15 ივლისიდან)

ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების მთავრობები:

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ავსტრია, ბელგია, დანია, ესპანეთი, ფინეთი, საფრანგეთი, იტალია, იაპონია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, ნიდერლანდები, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო, შვეცია და შვეიცარია;

მხედველობაში იღებენ რა, ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის მუდმივ ხასიათს;

გამოთქვამენ რა სურვილს, ხაზი გაუსვან ამგვარ ხასიათს;

სასურველად მიიჩნიეს რა, ამ მიზნით აღჭურვონ კონფერენცია სტატუტით;

შეთანხმდნენ შემდეგ დებულებებზე:

მუხლი 1

ჰააგის კონფერენციის მიზანია საერთაშორისო კერძო სამართლის წესების პროგრესული უნიფიცირებისათვის მუშაობა.

მუხლი 2

ჰააგის საერთაშორისო კერძო სამართლის კონფერენციის წევრებია სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობდნენ კონფერენციის ერთ ან რამდენიმე სესიაში და რომლებიც იღებენ წინამდებარე სტატუტს.

ნებისმიერი სხვა სახელმწიფო შეიძლება გახდეს წევრი, რომლის მონაწილეობაც იურიდიული ხასიათის ინტერესს წარმოადგენს კონფერენციის მუშაობისათვის. ახალი წევრების მიღება წყდება მონაწილე სახელმწიფოების მთავრობების მიერ, ერთი ან რამდენიმე მათგანის წინადადებით, ხმათა უმრავლესობით, მთავრობების მიერ ამ წინადადების წარდგენიდან ექვსი თვის ვადაში.

მიღება ძალაში შევა დაინტერესებული სახელმწიფოს მიერ წინამდებარე სტატუტის მიღებისას.

მუხლი 3

საერთაშორისო კერძო სამართლის კოდიფიკაციის ხელშეწყობის მიზნით, 1897 წლის 20 თებერვლის სამეფო დეკრეტით დაფუძნებული ნიდერლანდების სახელმწიფო კომისია, უზრუნველყოფს კონფერენციის მუშაობას.

აღნიშნული კომისია უზრუნველყოფს ამ მუშაობას მუდმივმოქმედი ბიუროს საშუალებით, რომლის საქმიანობასაც იგი ხელმძღვანელობს.

იგი განიხილავს კონფერენციის დღის წესრიგში შესაგან ყველა წინადადებას. მას ასევე შეუძლია შეაფასოს წინადადებების განხილვის შემდგომი მსვლელობა.

კონფერენციის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ, სახელმწიფო კომისია ადგენს

სესიების თარიღსა და დღის წესრიგს.

კომისია მიმართავს ნიდერლანდების მთავრობას მონაწილე მხარეების მოსაწვევად.

კონფერენციის რიგითი სესიები, წესის თანახმად, ტარდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ.

საჭიროების შემთხვევაში, წევრთა დადებითი აზრის შემდეგ, სახელმწიფო კომისიას შეუძლია მოსთხოვოს ნიდერლანდების მთავრობას კონფერენციის რიგგარეშე სესიის მოწვევა.

#### მუხლი 4

მუდმივმოქმედი ბიუროს ადგილსამყოფელი მდებარეობს ჰააგაში. იგი შედგება გენერალური მდივნისა და ორი სხვადასხვა ეროვნების მდივნისაგან, რომლებიც ინიშნებიან ნიდერლანდების მთავრობის მიერ, სამთავრობო კომისიის წარდგინებით.

გენერალურ მდივანს და მდივნებს უნდა გააჩნდეთ იურიდიული განათლება და სათანადო პრაქტიკული გამოცდილება.

მდივნების რიცხვის გაზრდა შესაძლებელია კონფერენციის წევრთა შეთანხმების შემდეგ.

#### მუხლი 5

სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელობით მუდმივმოქმედ ბიუროს ევალება:

- a) ჰააგის კონფერენციის სესიების მომზადება და ორგანიზება და ასევე სპეციალური კომისიების სხდომების ჩაგარება;
- b) სესიის სამდივნოს სამუშაოებისა და ზემოთ ხსენებული სხდომების მუშაობის ორგანიზება;
- c) ყველა ის საქმე, რომელსაც მოიცავს სამდივნოს საქმიანობა.

#### მუხლი 6

კონფერენციის წევრებსა და მუდმივმოქმედი ბიუროს შორის ურთიერთობების ხელშეწყობის მიზნით ყოველი წევრი სახელმწიფოს მთავრობა ქმნის ეროვნულ ორგანოებს.

მუდმივმოქმედ ბიუროს შეუძლია ითანამშრომლოს ყველა ამგვარად შექმნილ ეროვნულ ორგანოსთან და კომპეტენტურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

#### მუხლი 7

კონფერენციას, ხოლო სესიების შუალედში სახელმწიფო კომისიას, შეუძლიათ შექმნან სპეციალური კომისიები, კონვენციის პროექტების შემუშავებისა ან საერთაშორისო კერძო სამართლის ყველა იმ საკითხის შესწავლის მიზნით, რომლებსაც მოიცავს კონფერენციის მიზანი.

#### მუხლი 8

მუდმივმოქმედი ბიუროსა და სპეციალური კომისიების საქმიანობისა და მუშაობის ხარჯები ნაწილდება კონფერენციის წევრებს შორის. გარდა სპეციალურ კომიტეტებში მონაწილე დელეგაციების სამგზავრო და საცხოვრებელი ხარჯებისა, რომელიც უნდა დაიფაროს წარმოდგენილი მთავრობების მიერ.

### მუხლი 9

მულტიმედიური ბიუროსა და სპეციალური კომისიების ბიუჯეტი ყოველწლიურად წარედგინება წევრთა დიპლომატიურ წარმომადგენლებს ჰააგაში, დასამტკიცებლად.

ეს წარმომადგენლები ანაწილებენ წევრთა შორის ბიუჯეტით განსაზღვრულ ხარჯს, რომლებიც დაიფარება ამ უკანასკნელთა მიერ.

ამ მიზნით, დიპლომატიური წარმომადგენლები იკრიბებიან ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით.

### მუხლი 10

კონფერენციის რიგითი სესიების ხარჯები იფარება ნიდერლანდების მთავრობის მიერ.

რიგგარეშე სესიის მოწვევის შემთხვევაში ხარჯები ნაწილდება კონფერენციის წევრების სესიაზე წარმოდგენილ მხარეთა შორის.

ნებისმიერ შემთხვევაში დელეგაციის მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები იფარება შესაბამის სახელმწიფოთა მთავრობების მიერ.

### მუხლი 11

კონფერენციის საქმიანობა გაგრძელდება ამ სტატუსისა და რეგლამენტის საწინააღმდეგო უარყოფით შედეგებამდე.

### მუხლი 12

წინამდებარე სტატუსის ცვლილებები მიღებულად ჩაითვლება წევრი სახელმწიფოების ორი მესამედის უმრავლესობით დამტკიცების შემთხვევაში.

### მუხლი 13

სტატუსის შესრულების უზრუნველსაყოფად, წინამდებარე სტატუსის დებულებები შეივსება რეგლამენტით. აღნიშნულ რეგლამენტს მიიღებს მულტიმედიური ბიურო და წარუდგენს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს დასამტკიცებლად.

### მუხლი 14

წინამდებარე სტატუსი წარედგინება მისაღებად იმ სახელმწიფოების მთავრობებს, რომლებიც მონაწილეობდნენ კონფერენციის ერთი ან რამდენიმე სესიის მუშაობაში. იგი ძალაში შევა კონფერენციის მეჩვიდმეტე სესიაზე მონაწილე წევრთა უმრავლესობის მიერ მიღების შემდეგ.

განცხადება მიღების შესახებ უნდა გაეგზავნოს ნიდერლანდების მთავრობას, რომელმაც უნდა აცნობოს ამ მუხლის პირველ აბზაცში მითითებულ მთავრობებს.

მსგავსი პროცედურა ხორციელდება ახალი სახელმწიფოს მიღების შემთხვევაში სახელმწიფოს განცხადებისას მიღების შესახებ.

### მუხლი 15

ნებისმიერ წევრს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე სტატუსის დენონსაცია, მის ძალაში შესვლის თარიღიდან ხუთი წლის შემდეგ მეთოთხმეტე მუხლის, პირველი აბზაცით განსაზღვრულ ვადაში.

შეგყობინება დენონსაციის შესახებ, უნდა გადაეცეს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს კონფერენციის საბიუჯეტო წლის დამთავრებამდე ექვსი თვით

ადრე და ძალაში შევა ხსენებული წლის დამთავრებისას, მაგრამ მხოლოდ იმ წევრისათვის რომელმაც შეგყობინება მიაწოდა.